რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა·

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
редакція „Цнобисъ Пурцели“.

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა.

## წლიური ფასი ექვსი მანათი·

„ივერია“
გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.
გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდამ, ყოველ დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს.
ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 „ — — — — | 6 | „ |
| 11 „ — — — — | 9 | 50 | 5 „ — — — — | 5 | 50 |
| 10 „ — — — — | 8 | 75 | 4 „ — — — — | 4 | 75 |
| 9 „ — — — — | 8 | „ | 3 „ — — — — | 3 | 50 |
| 8 „ — — — — | 7 | 25 | 2 „ — — — — | 2 | 75 |
| 7 „ — — — — | 6 | 50 | 1 „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.
ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვლა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.
ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება.

## რედაქციისაგან

ხელ-ახლად ვაუწყებთ იმ ახალ ხელის-მომწერთა, რომელნიც გვისაყვედურებენ, შიგა და შიგ თითო-ოროლა ნომრები დაგვაკლდათო, რომ „ცნობის ფურცელი“, თუმცა ამ ჟამად 2200 ეგზემპლიარი იბეჭდება, მაგრამ ცალკე ნომრების გაყიდვის გამო, ზოგი ნომრები რედაქციას სრულებით არ მოეპოვება და ამიტომ თავისდა უნებურად ვერ აკმაყოფილებს ახალ ხელის-მომწერლებს.

შემდეგისათვის რედაქცია, რომ თავიდამ აიცილოს საყვედური და თვით ხელის მომწერთაც მიუვიდეთ ხვედრი ნომრები, უმორჩილესად სთხოვს ყველას, დროისით შეატყობინონ რედაქციას გაზეთის დაკვეთის სურვილი, რათა რედაქციამ, ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით, დაიჭიროს ანგარიში და დაჰბეჭდოს სამყოფი რიცხვი გაზეთისა.

ქართული თეატრი
1896 წ. ოთხშაბათს 4 დეკემბერს,
ბენეფისი ნ. გაბუნია ცაგარლისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

ორი ობოლი

დრ. 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა, მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა, კარგარელისა, ივანიძე, კუნდელი, საყვარელიძე და სხვ. ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, თამაზოვი და სხვა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე· კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი·

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. ბ. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვ ე ნ ე რ ი უ ლ ი, შინაგანი და კანისა.

ა. ბ. ბურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულადშ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. პ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს..ბ თოფურია. (წ.)

По случаю продается
ДОРОЖНАЯ КОЛЯСКА
(*малоподержанная*)
Полковника Ратіева
Видѣть можно у Котрини·
О цѣнѣ спросить Двор. банкѣ Ратіева
შემთხვევით იყიდება
სავზაო ეტლი
პოლკოვნიკის რატიევისა
მსურველთ მიმართონ კოტრანის, ანუ სააზნაურო ბანკში ი. რატიშვილს.
(5—4)

## გუშინდელი დეპეშა.

პეტერბურღი. 29 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფლები იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ვარშავის რკინის გზით პეტერბურგიდან წაბრძანდნენ.

უმაღლესი ბრძანება: «ვითხოვთ რა შემახის ეპარქიის სომეხ-გრიგორიანის ეპისკოპოსს მაკარ ბარხუდარიანც ამ თანამდებობიდან სხვა ადგილზე დასანიშნავად, ყოვლად უმოწყალესად ვუბრძანებთ ყარაბაღის ეპარქიის სომეხ-გრიგორიანის ეპისკოპოსს კარა-

პეტ აივაზიანს იქმნეს შემახის ეპარქიის უფროსად.

**ბერლინი.** გემს «სალიერზე» დაღუპულები 113 სული რუსია, მათ შორის 112 სარატოვიდან და ერთი იოსებ გემრიცკი ვარშავიდან.

**ვენა.** ავსტრო-უნგრეთის ელჩმა პეტერბურგში თავადმა ლიხტენშტეინმა ნადიმი გაუმართა დიდს მთავარს კირილე ვლადიმერის ძეს.

**ვენეცია.** სერბეთის მეფე 29 ნოემბერს ვენაში გაემგზავრა.

**ბრუსელი.** ბელგიის ელჩი ვაშინგტონისა დანიშნულია ელჩადვე პეტერბურგში.

**სტამბოლი.** ქაირში ხელახლად გამოსულმა ახალგაზდა თურქების გაზეთ „მიზანმა» ოსმალოს მთავრობაში უკმაყოფილობა გამოიწვია.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით გერმანეთს შეუტყობინებია ჩინეთისათვის, რომ ხვუნგ-ტცუნგ-შიენის დანიშვნა ელჩად ბერლინში უსიამოვნოდ დარჩა იმპერატორისათვისო; მიზეზი უკმაყოფილებისა ის არის, რომ სანამ ხვუნგს ელჩად დანიშნავდნენ ბერლინში იმპერატორ ვილგელმისათვის არ მოუხსენებიათ ეს დანიშვნაო. ამბობენ აგრეთვე, რომ ხვუნგს ისეთ პირად არა სთვლიან ბერლინში, რომ ასეთი მაღალი თანამდებობის ღირსი იყოსო.

# ახალი ამბავი

⁂ **სემინარიელები უნივერსიტეტში.** ყველა უნივერსიტეტების მთავრობას ბრძანება მოუვიდათ მომეტებული ყურადღება მიაქციონ სემინარიელ სტუდენტებს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ საბოლოვოდ გადაწყდეს, მისცენ თუ არა მომავალ სამოსწავლო წლიდგან სემინარიელებს უფლება უნივერსიტეტებში შესვლისა.

⁂ **სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება კავკასიაში.** ამ საზოგადოებას სხვა-და-სხვა პირთაგან მოსვლია 8,000 მანათი ოსმალეთიდგან გადმოსახლებულ სომეხთა დასახმარებლად. ამ საქმისათვისვე ხსენებულ საზოგადოებისთვის გაზეთს „რუსკაია ვედომოსტს“ გამოუგზავნია 224 მანათი.

⁂ **ქ. ოზურგეთი.** 26 ამ თვეს აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ნაშუაღამევის სამ საათზედ ცეცხლი გაუჩნდა კოსტანტინე ჯაველიძის სახლს და დაიწვა. დაიწვა აგრეთვე ყოველივე ავეჯი, სულ ღირებული 4000 მანათამდე. კიდევ მადლობა უფალს, რომ შიგ მყოფი ადამიანი არ გამოიბუგა. როგორც ამბობენ, ჯაველიძეს მტრები ჰყოლია და იმათ წაუკიდეს თურმე ცეცხლი. ცეცხლის გასაქრობად მალე მიაშველეს ჯარის კაცები, მაგრამ ძილისაგან გაბრუებულები რას გააწყობდენ უმანქანოდ და უწყლოდ. გასაოცარია ღმერთმანი, რატომ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს აქაური პოლიცია ამ გარემოებას, როდესაც კარგად შეიძლება მოიწყოს ცეცხლის გაქრობის საქმე; საქრობი მანქანის ფული კარგა ხანია გადაგვახდევინეს, მანქანაც იყიდეს, მაგრამ უყურადღებოდ გდია პოლიციის წინ. საქრობ მანქანისათვის კაციც კი არ არის დანიშნული, რომ საჭიროების დროს გამოიტანონ და მოიხმარონ; თორემ რა აზრი აქვს მანქანის ყიდვას, თუ საჭიროების დროს არად გამოდგება მცხოვრებელთ.

სასურველია, რომ ბ-ნ ქალაქის თავმა იკისროს ამ საჭირ-ბოროტო საქმის წესიერად დაყენება და მან მაინც გვიპატრონოს. შეიდეს ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობაში და გაუმჯობესოს ცეცხლის საქრობ მანქანის საქმე, როგორც სხვა ქალაქებშია; ხოლმე თორემ მთელი ოზურგეთი რომ ცეცხლმა გადასწვას, შველა არსაიდან იქნება. კოკებით და დოქებით ხომ არ გაიქრობა ცეცხლწაკიდებული სახლი. იმედია უყურადღებოდ არ დასტოვებენ ჩვენს გაჭირვებას და უმდაბლესს თხოვნას, ვისგანაც ჯერ არს.

⁂ **ყალბი ოქროს ფული.** ამ ბოლოს დროს ტფილისში ასაღებენ ყალბ ოქროს ფულს, ხუთ მანათიანს. ფული ძლიერ ოსტატურად არის გაკეთებული; ეტყობა, საზღვარ-გარეთიდან უნდა იყოს მოტანილი. მარტო იმით ეტყობა ყალბობა, რომ ზედ წარწერა წონის რაოდენობისა ხელოვნურად არ არის და ხელით უნდა იყოს გაკეთებული.

⁂ **უეცარი სიკვდილი.** პარასკევს, 29 ნოემბერს, „ტფილისის კლუბში“ ავად გახდა კერძო ვექილი ალ. მელიქფაშევი. ავადმყოფი სამკურნალოში წაიყვანეს და $1\frac{1}{2}$ საათის შემდეგ გარდაიცვალა. განსვენებული ამ ორის წლის წინად სიდამბლით გახდა ავად და მას შემდეგ ძრიელ სუსტად იყო.

⁂ **კიევი:** ამ ორ კვირას დასრულდა ჩვენს უნივერსიტეტში სახელმწიფო კომისსია სტუდენტ—ექიმებისა. ეგზამენზედ გამოცდის სურვილი განაცხადა 158 პირმა. ამათგან ექიმობის დიპლომის მიღების ღირსი გახდა 153. 2-მა ორ-ორ საგანში უნდა დაიჭირონ ეგზამენი მომავალ წლის კომისსიაში, ორი ჩაიჭრა და ერთიც ეგზამენების დაწყებისათანავე ჰკუიდან შეიშალა... სახელმწიფო კომისსიაში გამოცდის მსურველთა რიცხვში სამი ქართველი იყო და სამივემ ექიმობის დიპლომი მიიღო. აი მათი გვარებიც: გ. ქორქაშვილი, ვალ. დემიდაშვილი (დემიდოვი) და ამბ. გაფრინდაშვილი. პირველი მათგანი აქვე რჩება კლინიკაში თვალის ექიმობის შესასწავლად რამოდენისამე წლით, უკანასკნელი მაისამდის აპირობს მუშაობას ხირურგიულ კლინიკაში და დემიდოვი-კი შინაურ გარემოებათა გამო, მიემგზავრება სამშობლოში ამ ერთი თვის შემდეგ.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე გაცნობებთ ქართველ მოსწავლეთა რიცხვის რაოდენობას კიევში. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ქართველები აქ თითო-ოროლობით ითვლებოდნენ. უმეტესობა, რა თქმა უნდა, მახლობელ ოდესისკენ, ან და სატახტო ქალაქებისკენ მიეშურებოდნენ. დღეს-კი აქ 48-მდის მოსწავლე ქართველობაა. ამათ რიცხვში უმეტესობა საექიმო ფაკულტეტის წარმომადგენელნი არიან, 4 იურისპრუდენციას სწავლობს, 2—მათემატიკურზედ არის, 1—ფილოლოგიას, 4—ფარმაცევტი, 3—სასულიერო აკადემიაშია და 2-იც თავისუფალ-მსმენელია. როგორც ყოველთვის, ისე წელსაც ჩვენს «ახილ ლესურ ქუსლს», საჭირ-ბოროტო საკითხს—ნივთიერი შევიწროება შეადგენს; მხოლოდ შედარებით წინა წლებთან, ცოტა არ იყოს ის გვამხნევებს, რომ გულშემატკივარნი პირნი უყურადღებოდ არ გვტოვებენ ხოლმე ამ ძნელ განსაცდელის განვლის დროს. ამ შემოდგომის დამდეგს მოგვივიდა რამოდენიმე ქველ-მომქმედ პირთაგან, რომელთაც კერძოდ ეგზავნება მადლობა თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, წვლილი და ამან არა ერთ ჩვენს ხელ-მოკლე ამხანაგს ლექციების ფულის შეტანის მოხერხება მისცა. სხვა საჭიროებას-კი ჯერ ვინ დაეძებს, თუმცა-ღა ჩრდილოეთის სუსხიანი ზამთარი ახლოვდება და, მაშასადამე საჭიროებაც მატულობს. ბევრჯელ თქმულა ჩვენს უნივერსიტეტში არც ერთი კავკასიური სტიპენდიის უქონლობისა გამო და მე არ გავიმეორებ. ნეტავი რა ჰქმნა კავკასიის სტუდენტებთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსების საქმემ: თუ, სხვა მრავალ დაწყებილებასთან ერთად, ამანაც ჩაილულის წყალი დალია?

⁂ **სოფ. ალი:** მეორე წელიწადია, რაც დირექციამ ს. ალში ორკლასიანი სკოლა გახსნა. ყმაწვილებს თუმცა უშლიდნენ და ეხლაც უშლიან სკოლაში სიარულს გლეხები, მაგრამ ზოგიერთებმა მაინც არ დაიშალა სკოლაში სიარული და გაჩაღდა სწავლა. სკოლას წელს საბაღოსნო განყოფილებაც მოემატა და ოთხ დღიურ მიწაზე ძვირფასი ნამყენი და ნერგები ჩარგეს, საზღვარგარეთიდან გამოწერილი და სამას მანათზე მეტად ღირებული, და დღესაც საკუთარი მებაღე უვლის ნორჩს ბაღსა. მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, ხალხი ძალიან ეწინაამდეგება სკოლისა და ბაღის გაშენების საქმეს, თუმცა ბევრს არას ხარჯავს თვითონ; რა დღესაც ჩარგეს ნამყენები, იმ ღამესვე მივიდნენ და რამოდენიმე ნამყენი ამოგლიჯეს და რამოდენიმე დაამტვრიეს. იქნება ამითი სკოლაც მოვშალოთ და ბაღიცო. ხალხს ატყუებენ, უნდათ ზოგიერთებს, რომ ხალხი ბრმა იყოს და ხალხიც დროებით იმათ უჯერებს, მაგრამ ის კი არ იციან, რომ ალში სკოლას ვეღარავინ ვერ მოშლის; მხოლოდ ხალხს თვითონ თუ არ უნდა ორი მანათი იხადოს კომლზე, საშუალება გამოძებნოს სკოლის შესანახავად: ეს გახლავსთ სასწორის დადგმა ს. ალში კირის ასაწონათ და დუქნებზე ბაჟის აღება, რომლებიდგანაც ას თუმნამდე შემოვა და რომელიც კანონითაც ნება დართულია. აი ამ კანონისა და სკოლის საქმის გამოსარკვევათ მოვიდა 24 ამ თვეს ბ-ნი სკოლების ინსპექტორი ბოგდანოვი და ადგილობრივი ბოქაული ტერაკოფოვი. მაგრამ ხალხმა, რადგან ინ-წინ განზრახული ჰქონდათ, იგინი არ მიიკარა. მხოლოდ რამოდენიმე ყოყმანის შემდეგ გამოტყდა, რომ ესა და ეს კაცი ასე და ასე გვეუბნებაო: დაიღუპებით, თუ სკოლაზე და ბაღის გაშენებაზე დაეთანხმენითო და რა ვქნათ, რომ უარი არა ვთქვათო. ბოქაულმა გამოიძია ხალხის გამბრიყვებელი და დამრიგებელი ვაჟბატონის ვინაობა და აღმოჩნდა, რომ, როგორც ადგილობრივმა მამასახლისმა წარმოადგინა, ბ. დავით ჯანუევი აქეზებს ხალხს სკოლისა და ბაღის გაშენების წინაალმდეგო. ბ. ჯანუევზე ბოქაულმა ოქმი შეადგინა და ამ ორ დღეში გადაეცემა, სადაც ჯერ არს. ბ. ჯანუევი, თურმე, გორის მაზრის ადვოკატ-ჩარჩთაგანიაო.

**გომიდან გვწერენ:** იმერეთისა და ქართლის სამზღვრების მთებზე ამ ჟამად დიდი თოვლი ძევს და გადასვლ-გადმოსვლა ცხენით და ფეხით ძალიან გასაჭირია ქარ-ბუქისა გამო.

## თეატრის მატიანე.

**სოხუმი:** 21 გიორგობისთვეს ქართულ სცენის მოყვარეთაგან კნეინა ალათი შარვაშიძის მოთავეობით გაიმართა წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ითამაშეს „ძუნწი“, კომედია თ. გ. ერისთავისა, ვოდევილი ვას. აბაში-

...სა „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ ...ა „ოინი თუ გინდათ, ეს არის“, ...მ. ფრანგულიანცის ნათარგმნი ვო-...ევილი. მონაწილეობას იღებდნენ: ...ნნი მაკრ. თურქიასი, ოლ. მარ-...ჯელაშვილისა, ა. კიწმარეიშვილისა; ...ნნი: სამ. ფრანგულიანცი, მიხ. ...გაზავა, თ. სახოკია, ან. ჯაფარიძე ...ა სხ. წარმოდგენამ საზოგადოდ ...იარულად ჩაიარა. მოთამაშეებში ...ნსაკუთრებით ერჩეოდა ბ-ნი სამ. ...რანგულიანცი, რომელმაც თვისის ...ეგნებულის თამაშობით „კარაპეტა ...აბალოვის“ („ძუნწი“), „კინტოს“ ...„ცოლი თუ გინდათ, ეს არის“) და ...ავეტიქ არტემიჩის“ („ოინი თუ გი-...დათ, ეს არის“) როლებში გულია-...ად აცინა დამსწრე საზოგადოება. ...რა უშავდა-რა ბ-ნ მ. გვაზავასაც ...მჯრლის როლში. დანარჩენი მოთა-...მაშეები თითოეული კერძოდ ხელს ...წყობდნენ საზოგადო კარგ შთაბე-...ჭდილებას და ეტყობოდათ, რომ ...ცდილან თავისს როლების სინიდი-...ერად ასრულებისათვის.

...ეს წარმოდგენა უამინდობისა გამო ...სამეჯერ გადაიდო. მაგრამ თამა-...შობის დღესაც თვალ-პირი ჩამოსტი-...ოდა ბუნებას. მთელი დღე სწვიმ-...და, ბოლოს თოვლიც წამოვიდა და ...სოხუმის ქუჩები გაუვალი გახდა. ეს ...იყო მიზეზი, რომ საზოგადოება ჩვე-...ულებრივზე ნაკლებ დაესწრო. მთლი-...ანი შემოსავალი ათ თუმანს ძლივს ...აემატება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

...უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პა-...ტივცემულ გაზეთის „ცნობის ფურცე-...ლის“ შემწეობით მადლობა გამოუცხა-...დოთ შემდეგ პირთ, რომელთაც გა ...ილ ინებეს და სოხუმის იაფ-ფასიან ...წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წიგნები შე-...სწირეს:

...ქართველთა შორის წერა-კითხვის ...გამავრცელებელმა საზოგადოებამ 15 მან., ...რონაშვილმა 5 მან., ა. მაღლაკე-...ლიძემ 5 მან. 50 კ., მ. ხუნწარიამ ... მ., პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა ... მან., ი. გოგებაშვილმა 3 მან. 5 კ., ... სახოკიამ 2 მ., ამხ. ქართულ წიგნების ...გამომცემისამ 2 მ. 80 კ., გ. ტატი-...შვილმა 1 მან., მ. შარამძემ 1 მ. 40 ..., ს. დუმბაძემ 1 მან., ე. გიღურაძემ ... მან. 25 კ., ს. კალანდარიშვილმა ... მან. 10 კ., მ. გაჩეჩილაძემ 1 მან., ... ყაუხჩიშვილმა 1 მ. 20 კ., პატრი ...ნსულმა მღებრიშვილმა 1 მ., ს. ჭყე-...ტიძემ 85 კ., ი. მაჭავარიანმა 30 კ., ... სოლორაშვილმა 30 კ., ს. ინასა-...რიძემ 25 კ., ა. ნაკიტინმა 15 კ., მ ...ანტონოვისამ 10 კ., ს. ღონღაძემ 20 ..., გრ. ყიფშიძემ 70 კ., თ. ხუსკივა-...ძემ 65 კ. გ. ბეჟანიშვილმა 30 კ., ი. ...ფუთურელმა 20 კ., ე. მესხიამ 80 კ., ...ლომშაკომა 40 კ., მ. კალანდაძემ 60 კ., გ. გაჩეჩილაძემ 60 კ., მ. ნორაკიძემ 80 კ.

სოხუმის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავ-სამკითხველოის გამგეობა.

## პეტერბურგის ბირჟა

კურსები და ფონდები.

პეტერბურგი, 29 ნოემბერი 1896 წ.

| | |
|---|---|
| ვექსელ. კურსი 3 თვით: | |
| ლონდონისა 10 გირ. სტ—ში | 93,45 |
| ბერლინისა 100 მარკაში | 45,70 |
| პარიზისა 100 ფრანკში | 37,17⅝ |
| მდგომარეობა ვექს. კურსისა | მშვიდია |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,50 |
| ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.) | 149 |
| ბირჟის დისკონტი | 5¾—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99¼ |
| 4% შინაგანი სესხი 1 სერიისა | 98½ |
| 4½% „ „ 1893 წლ. | 101 |
| 4½% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა | 101⅜ |
| 4% „ „ „ „ „ | 97½ |
| 4½% მოწმ. საკრ. საად.-მამ. ბ. | 101¼ |
| 5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ. | 294 |
| 5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ. | 255 |
| 5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ. | 212¾ |
| „ ოქროს რენტა 1884 წ. | — |
| 4½% გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად. | 154¾ |
| 5% სახელ. რკინ. გზ. რენტა | 100¼ |
| 4½% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ. | 101¼ |
| „ „ 2 გამ. 1892 წლ. | 101⅜ |
| 4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ. | 152¾ |
| 4½% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ. | 101 |
| „ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ. | 101 |
| „ ობლ. სამხრ.-ალმოს. რკ. გზ. | 101 |
| 4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ. | 97 |
| 4½% სესხი ქ. პეტერბურგ. | 98 |
| 4½% „ „ ქ. ოდესისა | 94⅝ |
| 5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ. | 100¾ |
| 4½% „ „ „ „ | 98⅛ |
| 5% მოსკოვისა | 100⅞ |
| 5½% ობ. ოდეს. საკრ. საზ. | 100½ |
| 5% „ „ | 96⅝ |
| 5% ტფილისის | 98 |
| 5½% გირავნ. ფურც. ხერს. | 100⅛ |
| 5% საად. მამულო ბანკისა | 100⅛ |
| 4½% „ „ „ „ | 95⅜ |
| 5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ. | 100¼ |
| 4½% „ „ „ | 94¼ |
| 5% ვილენის | 100¼ |
| „ დონისა | 100¼ |
| „ კიევისა | 100⅛ |
| 4½% „ | 95 |
| 5% მოსკოვისა | 100¾ |
| „ ნიჟ-სამარისა | 100¾ |
| „ პოლტავისა | 100½ |
| 4½% „ „ | 95 |
| 5% ტულისა | 100⅞ |
| „ ხარკოვისა | 100¾ |
| 4½% „ | 95⅝ |
| 6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ | 98⅞ |
| 6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ „ | 98⅞ |
| აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ. | 539½ |
| „ პეტ. უჩოტ. და სესხ. | 736 |
| „ პეტ. ერთა-შორეზრივ. | 653 |
| „ რუსეთის შინაგ. ვაჭ. | 489½ |
| „ ვოლგა-კამას კომერ. | 1340 |
| „ პეტერბ.-მოსკოვის კომ. | 423 |
| „ პეტ.-აზოვის კომ. | 428 |
| „ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან. | 383 |
| „ აზოვი-დონის კომ. ბან. | 635 |
| „ ვარშავ. კომერ. | 508 |
| „ მოსკოვ. საერთაშ. ბან. | 462 |
| „ ციმბირისა | 700 |
| „ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ. | 635 |
| „ ვილენისა | 620 |
| „ დონისა | 700 |
| „ კიევისა | 780 |
| „ მოსკოვისა | 735 |
| „ ნიჟეგოროდ. და სამარის | 690 |
| „ პოლტავისა | 613 |
| „ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ. | 403 |
| „ ხარკოვის საად.-მ. ბან. | 485 |
| „ პეტერბ. განათ. საზოგ. | 136½ |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. | 10,050 |
| აქციები „ „ „ | 500 |
| „ პუტელ. ქარხნის საზოგ. | 117 |
| „ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. | 513 |
| აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“ | 224 |
| „ რუს. და ბელგ. მეტალ. | 277 |
| „ მალცევის ქარხნებისა | 620 |
| „ რუს. ოქრ. საზოგად. | 297 |
| „ რუს. დამზ. საზ. 1827 წ. | 1540 |
| „ „ „ „ 1835 წ. | 335 |
| „ დამზ.საზ. „სალამანდრა“ | 500 |
| „ პეტერ. დამზღ. საზოგ. | 450 |
| „ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. | 820 |
| „ დამზღ. საზ. „როსსია“ | 386 |
| „ საზ. „რუსს. ლლოიდ“ | 1100 |
| „ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. | 130 |
| „ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა“ | 215 |
| „ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო | 600 |
| „ საზ. „კავკაზ და მერკურ“ | 430 |
| „ ნავოსნ. დნეპრზე | 97½ |
| „ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. | 490 |
| „ კიევი-ვორონეჟ. | 448 |
| „ რიბინსკისა | 172 |
| „ სამხრეთ-ალმ. რკინ. გზ. | 184 |

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მშვიდია

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადისდილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

*(третій годъ изданія)*

на ежедневную политическо-общественно-литературную газету

# „ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“

„ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“—органъ Черноморья и Закавказья—**первая и единственная на всемъ восточномъ побережьѣ Чернаго моря русская газета**—выходитъ въ Батумѣ, ежедневно, за исключеніемъ послѣпраздничныхъ дней, по полной программѣ столичныхъ политическо-литературныхъ ежедневныхъ изданій, утвержденной г. министромъ внутреннихъ дѣлъ.

„ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“, вступая въ 3-й годъ изданія, останется вѣрнымъ своей задачѣ и, выясняя нужды и положеніе побережья и Закавказья, будетъ, какъ и раньше, служить точнымъ и правдивымъ отраженіемъ мѣстной жизни во всѣхъ ея разнообразныхъ проявленіяхъ.

Въ теченіе 1897 года будетъ напечатанъ рядъ статей изъ гражданскаго уложенія турецкаго законодательства, касающихся владѣнія недвижимою собственностью по турецкимъ законамъ, съ цѣлью ознакомленія читателей съ земельнымъ вопросомъ, столь существеннымъ для Батумскаго округа. Кромѣ того будутъ напечатаны слѣдующія статьи постоянныхъ сотрудниковъ „Черном. Вѣстн.“: „Сельское хозяйство на восточномъ побережьѣ Чернаго моря“, „Русскій чай“ и чайныя плантаціи на Чаквѣ близь Батума“, „Кавказскія ископаемыя богатства“, „Борьба съ разбоями на Кавказѣ“, „Флора Кутаисской губерніи“, „Марганцевая промышленность“, „Нефть и ея новыя залежи“, „Золото въ долинѣ Чороха“, Батумъ, Сухумъ и Поти“, „Школьное дѣло на Кавказѣ“, „Кавказскіе лѣса“, „Задачи правительства въ Черноморской губерніи“, „Русскій человѣкъ на Кавказѣ“, „Культурность и кинжалъ“, „Климатическія станціи на побережьѣ“, „Наши пути сообщенія“. „Кавказскіе самоуправцы“, „Русскій языкъ въ инородческихъ школахъ“, и др.

**Подписка принимается на срокъ съ 1 числа любого мѣсяца и не далѣе какъ до конца года.**

Подписная цѣна: **на годъ**—для городскихъ подписчиковъ, съ доставкой, **6** руб.,—для иногородныхъ, съ пересылкой. **7** руб.,—за границу **13** руб.; **на полгода**—для городскихъ **4** руб., дла иногородныхъ **5** руб., за границу **9** руб.; **на одинъ мѣсяцъ**—для городскихъ **1** руб., для иногородныхъ **1** руб. **20** коп. Разсрочка платежа по соглашенію съ конторой изданія.

ТАРИФЪ ОБЪЯВЛЕНІЙ: на 4-й страницѣ, за мѣсто, занимаемое строкою петита, съ мѣстныхъ объявленій—8 коп., съ иногородныхъ—10 коп.; на 1-й страницѣ—вдвое. При многократныхъ объявленіяхъ—скидка.

Объявленія изъ-за границы и Россійской Имперіи, за исключеніемъ Кавказа, Закавказья и Закаспійской области, принимаются исключительно въ Центральной конторѣ объявленій торговаго дома Л. и Э. МЕТЦЛЬ и К-о, въ Москвѣ (Масницкая, домъ Сытова) и въ Петербургѣ (Болшая Морская, 11).

Подписка принимается: въ Батумѣ—въ конторѣ „Черноморскага Вѣстника“ (Оглобжинская, д. Таирова), въ Петербургѣ и Москвѣ—въ конторахъ Л. и Э. Матцль и К-о, въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хиддекеля.

Розничная продажа №№: **въ Батумѣ**—въ конторѣ газеты, на вокзалѣ Закавк. жел. дор., у газетчиковъ на пристаняхъ и на бульварѣ, и пр., **въ Сухумѣ, Поти, Новороссійскѣ**—у газетчиковъ пароход. Русс. Общества. **въ Кутаисѣ**—у г. Куденка, **въ Тифлисѣ**—у г. Хиддекеля. Кромѣ того, на всѣхъ почтово-пассажирскихъ пароходахъ Русскаго Общества пароход. и торг., на пароходахъ Азовскаго Общества и у газетчика пар. Россійскаго Общ., „Марія“ (по всѣмъ Крымско-Кавказскимъ портамъ. Цѣна отдѣльнаго нумера **5** коп.).

При газетѣ—батумское отдѣленіе Россійскаго телеграфнаго агентства, съ пріемомъ отдельной городской подписки на биржевыя телеграммы (15 рублей въ годъ), выпускаемыя особыми бюллетенями два раза въ недѣлю.

Редакторъ-Издатель Г. А. ПАЛЬМЪ. (6—2).

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ზამთრის ბაღი

(თეატრის რესტორანი)

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად აზნაურო თეატრთან.

რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყვეს

მშვენიერსა და საუცხოვო ბუფეტში მუდმივ მზად არის

ყოველგვარი საჭმელ-სასმელი

ადგილობრივ და ევროპიულ გემოზე.

საჭმელები მზადდება ყოველთვის ახალ სანოვაგედგან კარაქზედ

**ფასი ყველაფერზე იაფია, მაგალითად:**

1) სადილი 4 რიგი საჭმელისა, რუმკა არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო და ფინჯანი ყავა ღირს **ერთი მანათი.**

2) სადილი 2 რიგი საჭმელისა, რუმკა არაყი და დიდი ჭიქა ღვინო **50 კაპ.**

## ბაღში ყოველ-დღე მუსიკა უკრავს

ბაღი და რესტორანი განათებულია ელექტრონის სინათლით.

ვღებულობ შეკვეთას სადილ-ვახშამზე ას და ორას პირთათვის.

იქვე რესტორანთან კერძო ოთახებში გამართულია ბილიარდები.

გიორგი ნიკ. სხირტლაძე

„Зимнiй садъ“ *притеатрѣ Грузинскаö Дворянства.*

10—ფ.—1).



1897

# „მოამბე“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეოთხე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

**წიგნის მაღაზიებს,** რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის **ათი შაური,** ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, **არაფერი დაეთმობათ.**

**შენიშვნა.** 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქმნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ **ფულის მიღების კვიტანციას** გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* **„Моамбе“.** (6—1)



ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

на политическую, общественную и литературную газету

# „КАЗБЕКЪ“

(второй годъ изданія),

Выходитъ по вторникамъ, четвергамъ и воскресеньямъ, а по средамъ, пятницамъ и субботамъ (по мѣрѣ накопленія матеріала)—прибавленія, въ коихъ печатаются телеграммы, справочныя свѣдѣнія и объявленія.

**Подписная цѣна:**

| съ доставкою на домъ во Владикавказѣ: | | съ пересылкой по почтѣ иногороднымъ: | |
|---|---|---|---|
| на 12 мѣсяцевъ . . | 6 р. 00 к. | на 12 мѣсяцевъ . . | 7 р. 00 к. |
| „ 6 „ „ „ . . | 3 р. 50 „ | „ 6 „ „ . . . | 4 р. 00 „ |
| „ 3 „ „ „ . . | 2 р. 00 „ | „ 3 „ „ . . . | 2 р. 50 „ |
| „ 1 „ „ „ . . | 0 р. 75 “ | „ 1 „ „ . . . | 1 р. 00 „ |

Во избѣжаніе замедленія высылки газеты, требующей много времени на заготовленіе адресовъ, контора газеты проситъ гг. иногородныхъ подписчиковъ подписываться заблаговременно, адресуя свои требованія въ гор. Владикавказъ, въ редакцію газеты **„Казбекъ“.** (3—1)



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

*(пятьдесятъ второй годъ изданія)*

НА ГАЗЕТУ

# „КАВКАЗЪ“.

Съ 1-го января 1897 года газета „КАВКАЗЪ“ будетъ издаваться подъ редакціей

**В. Л. ВЕЛИЧКО,**

по значительно-расширенной программѣ.

Газета поставитъ себѣ задачею посильное содѣйствіе духовному и экономическому развитію Кавказскаго края, культурное сближеніе его съ основными, созидательными началами русской жизни и служеніе отечественнымъ интересамъ на Востокѣ.

I. ВЪ ОФИЦІАЛЬНОЙ части газеты будутъ помѣщаться; 1) Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства; 2) Высочайшіе приказы; 3) приказы Главноначальствующаго гражданскою частью и командующаго войсками на Кавказѣ и вообще все то, что высшая администрація края найдетъ необходимымъ предложить напечатать.

II. ЧАСТЬ НЕОФИЦІАЛЬНАЯ, сообразно съ приведенной выше задачей газеты, будетъ распадаться на три группы статей, объединенныхъ общимъ направленіемъ.

*А. Вопросы мѣстные.*

1) Наблюденіе за мѣстною жизнью, изслѣдованіе явленій, отражающихся на (?)я укладѣ, и всестороннее обсужденіе порождаемыхъ ими вопросовъ будутъ обусловливаться возможно болѣе раціональною организаціей отдѣла корреспонденцій не только изъ главныхъ пунктовъ края, но и изъ глухихъ его уголковъ, типичныхъ въ какомъ-либо отношеніи. Въ частности будетъ отведено подобающее мѣсто городской хроникѣ Тифлиса, какъ центра кавказской жизни.

2) Передовыя статьи общаго и спеціальнаго характера, фельетоны серьезные и юмористическіе, въ прозѣ и стихахъ, тщательный обзоръ мѣстной русской и туземной публицистики послужатъ иллюстраціей къ матеріалу, приведенному въ 1-мъ пунктѣ, Особое вниманіе будетъ обращено на изслѣдованіе и выясненіе экономическихъ особенностей Кавказа: статьи по сельскому хозяйству, обрабатывающей промышленности, горному дѣлу и торговлѣ.

3) Постепенное развитіе статистики послужитъ для приведенныхъ отдѣловъ прочною основой.

4) Сознавая первостепенную научную и политическую важность кавказовѣдѣнія въ широкомъ смыслѣ этого слова, газета значительное мѣсто отведетъ статьямъ по естественной исторіи края, гражданской и военной исторіи его до и послѣ присоединенія къ Русской имперіи; изслѣдованіямъ, посвященнымъ этнографіи, фольклору, туземнымъ литературамъ въ ихъ прошломъ и настоящемъ, а также переводамъ лучшихъ туземныхъ произведеній.

Къ выполненію перечисленныхъ задачъ будутъ привлечены какъ мѣстные сотрудники, такъ и иные писатели и ученые, спеціально знакомые съ Кавказомъ.

*Б. Вопросы русской жизни и общекультурные.*

1) Связующимъ звеномъ между этою группой статей и предыдущею будетъ возможно-раннее и частое сообщеніе вѣстей изъ обѣихъ столицъ и другихъ крупныхъ пунктовъ Имперіи о тамошнемъ ходѣ административныхъ, общественныхъ, торговыхъ и судебныхъ дѣлъ, интересующихъ Кавказское общество. Столичныя вѣсти будутъ получаться отъ нѣсколькихъ спеціальныхъ корреспондентовъ, близкихъ къ различнымъ сферамъ.

2) Ежедневный обзоръ русской печати будетъ восполненъ разнообразными корреспонденціями, посвященными преимущественно типичнымъ явленіямъ русской жизни. Художественнымъ-же ея истолкованіемъ явится:

3) Беллетристическій отдѣлъ (повѣсти, разсказы, стихотворенія), значительному расширенію котораго будутъ содѣйствовать извѣстныя литературныя силы обѣихъ столицъ.

4) Критико-библіографическія замѣтки и фельетоны объ интересныхъ русскихъ и иностранныхъ книгахъ и ежемѣсячное журнальное обозрѣніе.

5) Популярныя статьи по философіи, вопросамъ религіознымъ, нравственнымъ, художественнымъ, государственнымъ и отвлеченно-научнымъ, какъ оригинальныя такъ и переводныя.

6) Театръ и музыка.

*В. Вопросы внѣшней политики и заграничной жизни.*

Этимъ вопросамъ будутъ посвящены:

1) Политическія корреспонденціи и телеграммы изъ Средней Азіи, Турціи, Персіи, Индіи, Болгаріи, Лондона, Парижа и Венеціи. Этотъ отдѣлъ, требующій особой осмотрительности, будетъ расширяться постепенно, по мѣрѣ возможности, равно какъ и

2) Заграничныя свѣдѣнія торговаго характера, имѣющія цѣлью содѣйствовать оживленію кавказской промышленности и торговли.

3) Передовыя статьи по восточному вопросу и періодическіе обзоры внѣшней политики, наряду съ ежедневными выдержками изъ иностранной печати.

4) Изрѣдка помѣщаемые очерки заграничной жизни.

— Кромѣ всего перечисленнаго, въ программу „Кавказа“ будутъ включены всѣ остальныя рубрики, принятыя въ большихъ литературно-политическихъ газетахъ.

Подписная цѣна остается безъ измѣненія, а именно:

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | | Съ пересылкою иногороднымъ. | | По почтовому союзу. | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . | 11 р. 50 к. | На годъ . . | 13 р.— | На годъ . . | 18 р. 40 к. |
| „ полгода . | 6 р. — | „ полгода . . | 6 р.— | „ полгода . | 10 р. — |
| „ 3 мѣс. . . | 3 р. 50 к. | „ 3 мѣс. . . | 4 р.— | „ 3 мѣс. . | 6 р. — |
| „ 1 мѣс. . | 1 р. 50 к. | „ 1 мѣс. . . | 1 р. 75 к. | „ 1 мѣс. . | 2 р. — |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ редакціей причемъ иногородными вносится по 3 руб. при подпискѣ, 1-го марта и 1-го мая и по [illegible] руб.—1-го іюля и 1-го сентября; городскими—къ тѣ-же сроки: 3 р., 3 р., 2 р., 2 р. [illegible] 1 р. 50 коп.

NB. Подписка и объявленія на 1897 годъ принимаются по нижеслѣдующему НОВОМУ АДРЕСУ:

Г. Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Харазовой, „Бюро подписки на газету „Кавказъ“ на 1897 годъ“.

Бюро **ОТКРЫТО** ежедневно, кромѣ воскресныхъ и праздничныхъ дней, отъ **9 часовъ утра до 3-хъ часовъ дня.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. [illegible]